ოქმი:ო37. 3725317001
თარიღი:13/11/2025

# ოქმი N 1

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2025 წელი, 10 ნოემბერი

ქ. ოზურგეთი

12:00- 12:30 -საათი

**თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია -** ოზურგეთის მუნიციპალითეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ. კიკვაძე, ტ. აროშიძე, პ. კიღურაძე, გ. ჩავლეშვილი, ქ. ხომერიკი, მ. ჩხიკვიშვილი, დ. ჭაკნელიძე, ტ. ბარამაძე, ე. გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 11 წევრიდან სხდომას ესწრება 10 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

## დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთის პარკში, თეატრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 9 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.19.15.003.178) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“-ოზურგეთის -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

   **მომხსენებელი: დავით დარჩია**

2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ - -ოზურგეთის -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

   **მომხსენებელი : დავით დარჩია**

### გადაწყვიტეს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N1 საკითხი განხილვისა და დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწეროს საკრებულოს დარგობრივ კომისიას (ბ.

თოიძე).

**2.** N2-საკითხი განხილვისა და საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწეროს საკრებულოს დარგობრივ კომისიას (მ. ჩხიკვიშვილი).

**3.** საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მუნიციპალიტეტის მერის პ. კუნჭულიას ინიციატივით მოწვეულ იქნას მიმდინარე წლის 14 ნოემბერს 16:00 -საათზე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი